# 2023 წლის ანგარიში

# ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

www.idageorgia.ge

# 2023 წლის ანგარიში

# ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

ძვირფასო კოლეგებო!

2023 წელი ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში, რადგან წლის მიწურულს საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც უფრო მეტად გვაახლოვებს ევროკავშირში გაწევრიანების შემგდომ ეტაპთან.




ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო, სხვა წინა წლების მსგავსად მუშაობდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდაზე და გაძლიერებაზე, ასევე ევროპული ინტეგრაციისა და ევროპული ღირებულებების მხარდაჭერასა და პოპულარიზაციაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელმაც წლების განმავლობაში ახალი მასშტაბები შეიძინა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო კვლავ აგრძელებს მათთან თანამშრომლობას პარტნიორული ურთიერთობების უფრო მეტად განმტკიცებისთვი.

ორგანიზაცია არსებული გამოწვევების ფონზე აქტიურად მუშაობდა რეგიონებში, სამიზნე მუნციპალიტეტებში, ჩაატარა 100–ზე მეტი შეხვედრა, მოიცვა 1500–ზე მეტი ბენეფიციარი, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; იმუშავა ახლადშექმნილი სამოქალქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებაზე, მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტების დანერგვასა და მათ პრაქტიკაში იმპელემენტაციაზე, საპილოტედ საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებასა და მისი ადვოკატირებაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიმართული იყო და არის, რომ საქართველოში შეიქმნას ძლიერი და დამოუკიდებელი თვითმმართველობის ინსტიტუტი, რომელსაც აქვს საკმარისი უფლებამოსილება, შესაძლებლობები და რესურსი უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტური მართვა და მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა.

ცხადია, ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელება, შეუძლებელი იქნებოდა LDA საქართველოს გუნდის გარეშე, მადლობა მინდა გადავუხოდო მათ, პროფესიონალიზმისთვის, შრომისთვისა და მაღალი პასუხისმგებლობისთვის!

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ხუხუა

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

იმერეთის რეგიონული ჰაბი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA) საქართველო, საანგარიშო პერიოდში (2020-2024) კვლავ აგრძელებს, რეგიონული ჰაბის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას, დასახული მიზნის - იმერეთის რეგიონის დონეზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რაც მიღწეული იქნება CSO's/CBO's მდგრადობის შენარჩუნების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდის უზრუნველყოფის გზით.

HUB-ის მიზანია, რეგიონის დონეზე, ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებისა და განსხვავებული გამოცდილების მქონე პირებისათვის საერთო სივრცის შექმნას. HUB-ის შექმნა ერთის მხრივ არის ერთგვარი ინოვაციის შემოტანა ჩვენს სფეროში და ბიძგი სიახლისკენ, მეორეს მხრივ კი გრძელვადიანი სისტემური პლატფორმის შექმნა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები CSO's/CBO's წარმომადგენელთათვის, რომელთა გადამზადებაც მოხდა პროექტის ფინანსური მენეჯმენტი/მართვისა და ადვოკატირების თემაზე. სულ ჩატარებულია შვიდი ტრენინგი, რომელზედაც გადამზადდა 61 მონაწილე.





იმერეთის რეგიონულმა ჰაბმა პროექტის ფარგლებში მოაწყო სასწავლო ვიზიტები CSO's/CBO's წარმომადგენელთათვის ზუგდიდის და აჭარის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული აქტივობის მიზანია, გამოცდილების მიღება და წარმატებული მაგალითების გაზიარება, ასევე გაზიარდება თანამშრომლობის შესაძლებლობა მოსაზღვრე რეგიონებში არსებულ CSO's/CBO's შორის. სულ ჩატარებულია ორი ვიზიტი, რომელშიდაც მონაწილეობას

იღებდა 21 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი.







პროექტის ფარგლებში ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა, იმერეთის მხარეში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის, ინფორმაციის მიწოდება იმერეთის რეგიონში გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ. ჩატარებული შეხვედრების შედეგად უზრუნველყოფილი იყო ასევე ორგანიზაციების საჭიროებების კვლევის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტის გაცნობა. პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარებულია ცხრა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 78 მონაწილე.






შეიქმნა SMS პლატფორმა, რომლის მიზანია რეგიონის CSO’s და CBO’s წარმომადგენლებისთვის, ინფორმაციის მიწოდება, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეზე დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. პლატფორმა ჩაშენებულია ორგანიზაციის ვებ გვერდზე. აქტივობით მხარდაჭერილია სექტორალური თანამშრომლობა და სხვადასხვა ქსელში ჩართულობის შესაძლებლობა.

ფორმირდა ახალგაზრდული კლუბები თერჯოლის, ზესტაფონის, ტყიბულის, საჩხერის და ვანის მუნიციპალიტეტებში. კლუბის წევრებს ჩაუტარდათ სემინარები სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობასა და როლზე. სემინარების მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების განწყობების შეცვლა სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების მიმართ; ახალგაზრდებში მოხალისეობის პოპულარიზაცია და მათი ინტერესის გაზრდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ. აქტივობის შედეგად გაიზარდა საზოგადოებრივი განწყობა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ, ასევე სამოქალაქო სექტორისადმი სტუდენტების და ზოგადად ახალგაზრდობის ინტერესი. სულ ჩატარებულია 15 შეხვედრა, რომელზედაც გადამზადდა 69 ახალგაზრდა.







განხორციელდა საჯარო შეხვედრები და გაიცა საჯარო კონსულტაციები რეგიონის დონეზე. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა რეგიონის დონეზე შესაბამისი აქტორების ჩართულობით განხილულიყო მნიშვნელოვანი საკითხები. ჩატარებულ შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა არასამეწარმეო იურიდიული პირების, სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხთან დაკავშირებით; ასევე მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ქეისების გაცნობა და დისკუსიაში მონაწილეობა. შეხვედრას დაესწრნენ იმერეთის მხარის მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2023 წელს ჩატარებულია ერთი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 32 პირი.





რეგიონული ჰაბის მიერ ჩატარებულია შეხვედრები მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა საჯარო და კერძო თანამშრომლობაზე; კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, მის მნიშვნელობასა და დადებით შედეგებზე; სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე. აქტივობის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების როლის ზრდის ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკაში. აქტივობის შედეგია ის, რომ მუნიციპალიტეტებმა უფრო მეტად გაათვიცნობიერეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოზიტიური როლი საჯარო პოლიტიკაში, რისი ნათელი გამოხატულებაც გახლდათ მუნიციპალიტეტები აქტიური ჩართულობა რეგიონული ჰაბის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებშიც. 2023 წელს ჩატარებულია ექვსი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 78 პირი.





ცხელი ხაზის სერვისის მოქმედებით შექმნილია ინფორმაციის პროაქტიულად მიღების დამატებითი მექანიზმი. რაც კარგი შესაძლებლობაა განსაკუთრებით, მაღალმთაინ

მუნიციპალიტეტებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის. აღნიშნული მომსახურება, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევდა დისტანციურად მიეღო ინფორმაცია ერთის მხრივ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ რეგისტრაციის სამართლებრივი პროცედურების ირგვლივ.




ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia)აქტიურად მუშაობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საბჭოსთან. ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, LDA Georgia-ს მხარდაჭერით ახალგაზრდულმა საბჭომ შეიმუშავა ,,ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა''.

საბიუჯეტო პროგრამა, რომლის წარდგენა და განხილვა მოხდა მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან, წარმატებით იქნა ასახული ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.
პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ შეძლოს საზოგადოების მობილიზება დემოკრატიული ღირებულებების გარშემო. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ისწავლა პრიორიტეტების სწორად დასახვა, შედარებით კარგად ფლობს მიზნობრივი ჯგუფის გამოკვეთის ტექნიკას და აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება, ჯერ კიდევ სუსტია მათი სოციალური დასაყრდენი და წარმომადგენლობა. არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური მდგრადობა, ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება, მაღალი პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა. უნდა ითქვას, რომ ეს სურათი, გარკვეულწილად სტატიკურია და წლიდან წლამდე მცირედით თუ იცვლება.

აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, იმერეთის რეგიონებში HUB-ი არის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების უკეთ მობილიზებისა და გაძლიერებისთვის.

## „ მეტი გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება ეფექტური თვითმმართველობისთვის''

თვითმმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად უნდა მუშაობდნენ ადგილობრივი პრობლემების გამოსავლენად და გადასაჭრელად.

ადგილობრივი ხელისუფლების გამჭირვალობა დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნა და კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება უფრო მეტია ვიდრე ინფორმაციის გავრცელება.



ეფექტური თვითმმართველობის მხარდაჭერის მიზნით ა(ა)იპ ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდმა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან პარტნიორობით დაიწყო პროექტის ,,მეტი გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება ეფექტური თვითმმართველობისთვის'' განხორციელება. პროექტის მიზანია უზრუნველყოს იმერეთის მხარის თერჯოლის, ტყიბულისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროექტის საწყის ეტაპზე ორგანიზაციის წარმომადგენლებს და პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების მერებს (ბაღდათი, თერჯოლა, ტყიბული) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი ორგანიზაციების ხელმძღვანელმა პირებმა და აღნიშნული მუნიციპალიტეტების მერებმა მოაწერეს.

შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების მერის მოადგილეები, საკრებულოს, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვისა და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის და მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენლები, საკრებულოს აპარატი უფროსი; საკრებულოს გენდერული საბჭოს, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და ბაღდათის ახალგაზრდული საბჭოს წევრები. ასევე, მერიის და საკრებულოს თანამშრომლები. საერთო ჯამში შეხვედრებს დაესწრო 44(ადამიანი); ქალი- 24; კაცი - 20.

პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის მიერ, გერმანიის ფედერალური მთავრობისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის" ფარგლებში

## სხვადასხვა სახის აქტივობები

## მშვიდობის კორპუსის მოხალისე

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ორი წლის განმავლობაში (2023-2024) უმასპინძლებს, მშვიდობის კორპუსის ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროგრამის მოხალისეს ფრედი ცაოს.

როგორც მულტიმედიურ დიზაინერს, ფრედის აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ადამიანზე ორიენტირებული დიზაინის შექმნის სფეროში, რომელიც თავის არსში, პროდუქტებისა და სერვისების შექმნისა და გამოგონების კონცეფციას გულისხმობს, რომლებიც ადამიანის კეთილდღეობის, მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას და სოციალური



ცვლილებების ხელშეწყობას ემსახურება. ფრედის ჰქონდა შესაძლებლობა ეთანამშრომლა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სექტორთან ადამიანთა საჭიროებების გამოვლენისა და კულტურული ბარიერების განადგურების მიზნით. ის მუშაობდა მულტიმედიურ დიზაინერად ჩიკაგოში, ილინოისში, ასევე ჩართული იყო კომუნიკაციის სტრატეგიის შექმნის პროცესში შეერთებულ შტატებში სხვადასხვა არაკომერციულ ორგანიზაციაში. მან დაამთავრა ჩიკაგოს უნივერსიტეტი საჯარო პოლიტიკისა და მედია-კვლევების განხრით.

ფრედი მხარს დაუჭერს ორგანიზაციის მისიას. აქტიურად იქნება ჩართული ორგანიზაციის ახალგაზრდული კლუბის მუშაობის პროცესში, დაეხმარება მათ შეიძინონ დამსაქმებლისთვის მოთხოვნადი უნარები, განივითარონ ლიდერული უნარ-ჩვევები და ინგლისური ენის ცოდნა. იგი კოლეგებთან ერთად ასევე იმუშავებს ისეთ თემებზე როგორიცაა: ციფრული წიგნიერება, მეწარმეობა, პროექტების დიზაინი და მართვა.

## ALDA-ს წარმომადგენლების ვიზიტი



ორგანიზაცია ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ხუხუამ „ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისათვის'' (ALDA) წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრას მარკო ბორარია- ALDA-ს პროგრამებისა და განვითარების დეპარტამენტის

ხელმძღვანელი და ანდრეა რილიევო- ALDA-ს გამგეობის წევრი დაესწრნენ.

ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ისაუბრა ორგანიზაციის საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე.



ასევე, შეხვედრები გაიმართა ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, რომლებიც არიან ALDA-ს წევრები და თანამშრომლობის გზით ხშირად უწევთ ერთობლივი პროექტების განხორციელება.

შეხვედრებზე საუბარი შეეხო თანამშრომლობის ახალ შესალებლობებსა და ALDA -ს საქმიანობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

## ევროპის დღეები 2023

„ევროპის დღეები 2023" ფარგლებში LDA Georgia - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ჩართული იყო საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც ჩატარდა ქუთაისის უნივერსიტეტში.



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო წარმომადგენილი იყო სტენდით, რომელიც მოიცავდა საინფორმაციო ბუკლეტებს ორგანიზაციის განხორციელებული პროექტების შესახებ, ბრენდირებულ მასალებსა და მცირე სუვენირებს.

ღონისძიების ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი საქმიანობისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ მიეწოდებინათ ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის.

დასასრულს, ჩატარდა ვიქტორინა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების თემაზე, გამარჯვებულებს კი გადაეცათ ადგილობრივი დემოკრატიისსააგენტო საქართველოს ბრენდირებული მაისურები.

საინფორმაციო შეხვედრა ორაგანიზებული იყო ნატოსა და ევროკავშრის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ, მსგავსი ღონისძიებები ყოველწლიურად იმართება და მიზანად ისახავს საქართველოს

ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ მოქალაქეების ინფორმირებასა და ჩართულობის გაზრდას.

## ALDA-ს საერთო კრება 2023

2023 წლის ივნისის თვეში ბრიუსელში გაიმართა ALDA-ს (ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის) გენერალური ასამბლეა.

ეს იყო წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, სადაც ALDA-ს კოლეგები, წევრები და პარტნიორები შეიკრიბნენ ევროკავშირის ძირითად პრიორიტეტებზე სასაუბროდ, ასევე ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის ისეთ თემებზე, როგორიცაა: მიგრაცია, ინკლუზია, გენდერი, თანასწორობა, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები და ა.შ

გენერალური ასამბლეა გაიხსნა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის და კომისარის, ქალბატონი დუბრავკა შუიცას მიმართვით. დამსწრე საზოგადოების წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ ასევე ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტი ბატონი ლინ ვერბეკი, ევროსაბჭოს მოქალაქეთა თანასწორობის, უფლებებისა და ღირებულებების პროგრამის განყოფილების ხელმძღვანელი, ჟილ პელაიო და ცენტრალური ევროპის ინიციატივის დეპარტამენტის წარმომადგენელი, ბატონი უგო პოლი.
მოეწყო კონფერენციები, მრგვალი მაგიდის ფორმატის და სამუშაო შეხვედრები. ყველა ღონისძიება ფოკუსირებული იქნება ადგილობრივი დემოკრატიის როლზე და მონაწილეობის მექანიზმებზე.




ღონისძიებაზე მიმოხილულ იქნა ასოციაციის (ALDA) ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების მიერ გასულ 2022 წელს განხორციელებული აქტივობები.

გენერალური ასამბლეა დასრულდა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს და სამუშაო ჯგუფის წევრების წარდგენით, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში.

## LDA Georgia-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ALDA-ს საერთო კრებაში




2023 წლის ივნისის თვეში ბრიუსელში გამართულ ALDA-ს (ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის) გენერალურ ასამბლეას ესწრებოდა ორგანიზაციის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ხუხუა. ნინო ხუხუა გახლდათ ღონისძიების პანელის ,,ადგილობრივი დემოკრატია განახლებული გეოპოლიტიკური ჩარჩოს კონტექსტში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში'', ერთ- ერთი მომხსენებელი. პანელის მომხსენებლების მიერ გაზიარებული ღირებული მოსაზრებების შემდეგ, გაიმართა საინტერესო დისკუსიები.

## ახალგაზრდული  გაცვლითი პროექტი იტალიაში

LDA Georgia - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ შერჩეული ხუთი ახალგაზრდა , ერაზმუს + პროექტის ''S.H.O.W RESPECT'' ფარგლებში იმყოფებოდნენ იტალიაში.
პროექტი '' S.H.O.W RESPECT'' მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას გენდერული ნიშნით ძალადობის თემატიკაზე, თეატრალური ტექნიკების გამოყენებით.
გაცვლით პროგრამაში ჩართულნი იყვნენ მონაწილეები ექვსი ქვეყნიდან (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, სომხეთი, იორდანია და საქართველო).
LDA Georgia- მადლობას უხდის მასინძელ ორგანიზაციას ასეთი შესაძლებლობისთვის.



## ALDA-ს გენერალური მდივნის, ანტონელა ვალმორბიდას, ვიზიტი საქართველოში

ორგანიზაცია ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ხუხუამ „ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისათვის'' (ALDA) გენერალურ მდივანს, ანტონელა ვალმორბიდას უმასპინძლა. ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ისაუბრა ორგანიზაციის საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე.



ასევე, შეხვედრები გაიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან, თამარ დახუნდარიძესთან და საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელთან, შორენა ხუხუასთან, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან, არჩილ ჩიქოვანთან, ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან ბექა ვჭარაძესთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, შალვა კირთაძესთან და საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელთან, დავით გეგეჭკორთან.



შეხვედრებზე საუბარი შეეხო თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებსა და ALDA -ს საქმიანობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ისევე როგორც ევროინტეგრაციის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

## კონფერენცია - მუნიციპალიტეტების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში (CORLEAP)

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ხუხუამ ALDA-ს გენერალურ მდივანთან, ანტონელა ვალმორბიდასთან ერთად მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში - ,,მუნიციპალიტეტების როლი ევროპის



სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში“.
პირველი სესია, კარგ მმართველობაში მუნიციპალიტეტების როლზე მსჯელობასა და აღნიშნული მიმართულებით, ,,CORLEAP’წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას დაეთმო.
შეხვედრის მეორე ნაწილში კი, ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტების როლზე ტერიტორიულ განვითარებაში. კონფერენციაზე, ასევე წარმოდგენილი იყო რეგიონული განვითარების ინტეგრირებული პროგრამა.
აღნიშნული კონფერენცია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა (ათეა) და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

**ღია კარის დღე აკაკი წერეთლის სახელმწიფო და ქუთაისის უნივერსიტეტში**



გვქონდა შესაძლებლობა შევხვედროდით სტუდენტებს და ახალგაზრდებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გაგვემართა საინფორმაციო შეხვედრა.

შეხვედრაზე სტუდენტებს და ახალგაზრდებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ ინფორმაცია:

- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს საქმიანობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული სტაჟირების პროგრამის შესახებ;



- ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ გაცვლითი პროგრამის მონაწილეებისთვის.
- ჰქონდათ შესაძლებლობა ადგილზე შეევსოთ ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული კლუბის სააპლიკაციო და სტაჟირების პროგრამის განაცხადის ფორმები.

შეხვედრაზე ასევე წარდგენილ იქნა ახალგაზრდული საჭიროების კვლევა და პროგრამა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებას.

## ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) კოორდინატორების შეხვედრა

LDA Georgia-ს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ECS) კოორდინატორების შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 24-26 ნოემბერს ბაკურიანში. შეხვედრის მიზანი იყო გამოცდილების, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების გაზიარება ECS პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, განივითარონ უნარები, მიიღონ ცოდნა, ახალი გამოცდილება და აიმაღლონ პროფესიული კომპეტენციები.



ასევე, საუბარი შეეხო სანდო საერთაშორისო პარტნიორების მოძიების თემას და მათთან ურთიერთობის დამყარების საკითხებს.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეაჯამეს და ერთობლივად განიხილეს უახლოეს მომავალში განსახორციელებელი გეგმები, რომელიც მიზნად ისახავს მეტი ახალგაზრდის დაინტერესებას და ჩართვას ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროექტებში.

## სტუდენტური ფესტივალი 2023

LDA Georgia შეუერთდა ქუთაისის მუნიციპალიტეტში გამართულ ახალგაზრდულ ფესტივალს. ფესტივალზე წარდგენილ იქნა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამები.



## ახალგაზრდული ფესტივალი 2023

LDA Georgia შეუერთდა ქუთაისის მუნიციპალიტეტში გამართულ ახალგაზრდულ ფესტივალს. ფესტივალზე წარდგენილ იქნა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამები.



სტაჟირების პროგრამის მონაწილეების  შთაბეჭდილებები




მაია გიორგაძე, ლანა ჭანტურიძე და შოთა კვარაცხელია გვიზიარებენ თავიანთ და მიღწევებსა შთაბეჭდილებებს.

ჩვენი სტაჟირების პროგრამის მეშვეობით, მათ არა მხოლოდ გაიუმჯობესეს თავიანთი უნარები, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციის საქმიანობებში. ჩართულნი იყვნენ ორგანიზაციის მასშტაბურ პროექტებში, სემინარებსა თუ ტრენინგებში, ახალგაზრდული კლუბის საქმიანობის პროცესში და სხვადასხვა აქტუალური პრობლემების გადაჭრაში.

## გაცვლითი პროგრამის მონაწილეების შთაბეჭდილებები

LDA Georgia-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილეები - მაგდა ფურცხვანიძე, გიორგი გელოვანი და თეონა არსენიძე, გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.




საანგარიშო პერიოდი: 2023 წლის 1 იანვრიდან – 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან – 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. გრანტის სახით მიღებულია ჯამში 103 002 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

| დონორი ორგანიზაციის დასახელება | თანხა ლარში |
|---|---|
| EU/KAS | 45 594 |
| UNDP | 29 248 |
| GIZ | 9 431 |
| ALDA | 19 166 |
| ჯამური თანხა | **103 002** |

Dear Colleagues,




2023 marked a significant milestone in Georgia's history, as our country was granted candidate status for European Union membership at the year's end. This significant achievement brings us closer to joining the European Union.

Like in previous years, LDA Georgia continued to focus on growing and strengthening the capacities of local self-government and civil society organizations. We also supported and promoted European integration and values.

Our collaboration with partner organizations has been particularly noteworthy, expanding significantly both nationally and internationally, and has reached new dimensions over the years. LDA Georgia remains committed to further strengthening these partnerships.

Against the backdrop of our nation’s ongoing challenges, our organization has been actively working in regions and target municipalities. We conducted over 100 meetings and engaged more than 1500 beneficiaries, including representatives of vulnerable groups. We focused on strengthening newly established civil society organizations. We introduced and implemented citizen engagement tools, piloted budget programs, and advocated for these initiatives. All of these efforts aim to establish a strong and independent self-government institution in Georgia, equipped with the necessary authority, capabilities, and resources to effectively manage locally prioritized issues and involve citizens in the decision-making process.

The implementation of our strategic goals would have been impossible without the dedication of the LDA Georgia team. I would like to extend my heartfelt thanks to them for their professionalism, hard work, and high sense of responsibility.

Sincerely,

Nino Khukhua
Executive Director
Local Democracy Agency Georgia

Local Democracy Agency Georgia

2023 Annual Report

Civil Society Initiative
Imereti Regional Hub

Local Democracy Agency (LDA) Georgia continues to implement activities within the framework of the regional hub from 2021 to 2024, focusing on strengthening civil society in the Imereti region. This will be achieved by ensuring the sustainability of CSOs/CBOs and enhancing transparency and accountability.

The goal of the HUB is to create a common space for people with diverse experiences and interests in civil society at the regional level. This initiative introduces innovation to our field and promotes long-term systemic platforms.





As part of the project, trainings were conducted for CSO/CBO representatives on project financial management and advocacy. A total of seven trainings were held, with 61 participants trained.

As the Imereti Regional Hub, LDA Georgia organized job shadowings for CSO/CBO representatives in the Zugdidi and Adjara municipalities. This activity allowed participants to gain additional experiences, share successful local examples, and explore cooperation opportunities between CSOs/CBOs in bordering regions. Two visits were conducted, involving representatives from 21 civil society organizations.







Consultative meetings were also held to inform civil society and community organizations in the Imereti region about grant competitions. These meetings ensured attendees had access to the findings from a research study conducted to understand the needs of organizations. During the reporting period, nine meetings were held with 78 participants.






An SMS platform was created to provide information to CSO and CBO representatives about various events at the regional or national level. The platform is integrated into the organization's webpage, supporting sectoral cooperation and engagement in various networks.

Youth clubs were established in Terjola, Zestafoni, Tkibuli, Sachkhere, and Vani municipalities. Club members attended seminars on the importance and role of civil society. The seminars aimed to change young people's attitudes toward civil society and community organizations, promote volunteering, and increase interest in civil society activities. As a result, public attitudes and the interest of students and youth in the civil sector have increased. A total of 15 meetings were held, attended by 69 participants.






Organized by the Imereti Regional Hub, Local Democracy Agency Georgia (LDA Georgia), and the Civil Society Institute (CSI), a public consultation was held for representatives of civil society organizations in the Imereti region. The consultation aimed to inform participants about the new law requiring the registration data of non-entrepreneurial non-commercial legal entities (N(N)LE) to be updated for compliance. The following issues were discussed during the consultation:

- Main directions of legislative changes, deadlines for compliance, and potential outcomes;
- New standards established for N(N)LE;
- Rules for updating N(N)LE registration data to meet new requirements;
- Required documents for updating registration data.

In 2023, one meeting was held, attended by 32 people.






The regional hub also organized meetings with representatives of the Gender Equality Council in various municipalities. These meetings focused on public-private cooperation, corporate social responsibility, and the roles of state agencies and civil society organizations. The goal was to enhance

the role of civil society in public policy. As a result, municipalities have become more aware of the positive impact of civil society organizations, demonstrated by their active involvement in regional hub activities. In 2023, six meetings were held, attended by 78 people.





The operation of a hotline service has provided an additional mechanism for proactively receiving information, especially beneficial for civil society organizations in high-mountainous municipalities. This service allows interested individuals to remotely access information about project activities and legal procedures for registering N(N)LEs.




Local Democracy Agency Georgia actively collaborates with the Youth Council of Baghdati municipality. Through this cooperation, and with the support of LDA Georgia, the Youth Council developed the "Youth Initiatives Support Program." This program was presented to and discussed with the City Hall and City Council representatives, and was successfully included in the 2023 budget of Baghdati municipality. The program aims to promote the development and well-being of young people in Baghdati, enabling them to realize their potential and actively participate in public life.

In many regions of Georgia, civil society organizations still struggle to mobilize communities around democratic values. Although civil society has improved in setting priorities, identifying target groups, and executing projects, they still face challenges in gaining social support and representation. Issues such as financial sustainability, effective organizational structures, responsibility, and transparency remain persistent. This situation has remained relatively static over the years.

Given this reality, the HUB in the Imereti region represents a significant opportunity for better mobilization and strengthening of civil society.

## More Transparency and Accountability for Effective Self-Government

Effective self-government requires collaboration between local government and civil society to identify and solve local problems. Empowering local government is essential for democracy and a key principle of good governance. Transparency and accountability go beyond merely disseminating information.

With this understanding, Local Democracy Agency Georgia, in partnership with the Tkibuli District Development Fund, has initiated the project "More Transparency and Accountability for Effective Self - Government." The project's goal is to ensure effective self-government in the municipalities of Terjola, Tkibuli, and Baghdati and to promote the involvement of civil society in the decision-making process.



As part of the project, a memorandum of understanding was signed between Local Democracy Agency Georgia, the Tkibuli District Development Fund, and the target municipalities (Baghdati, Terjola, Tkibuli). The memorandum was signed by the heads of the organizations and the mayors of these municipalities.

The meetings were attended by various local officials, including deputy mayors, heads of municipal councils, and department heads from education, culture and sports, human resources management, public relations, economic development, and other relevant sectors. Representatives from local and international donor organizations, the gender equality council, the civic advisory council, and the youth council of Baghdati municipality also participated. In total, 44 people attended the meetings, including 24 women and 20 men.

The project is implemented by the Tkibuli District Development Fund in partnership with Local Democracy Agency Georgia, with support from the "Strengthening Civil Society in the Eastern Partnership" program, co-funded by the government of the Federal Republic of Germany and the European Union.

## Collaborative Efforts with Peace Corps Volunteer Freddy Tsao



LDA Georgia is excitedto host Freddy Tsao, a Peace Corps Volunteer, as part of Peace Corps Georgia's Individual and Organizational Development Program for the next two years. Freddy's background in multimedia design and design research are instrumental in our ongoing projects and initiatives aimed at enhancing community well-being, user experience, and social change. His approach to design and strategy, deeply rooted in understanding and addressing human needs, aligns with our mission of fostering impactful social change.

Prior to joining us, Freddy worked as a design researcher and strategist in Chicago, Illinois, and has also previously worked as a program communications strategist and multimedia designer for a variety of private and non-profit organizations in the United States. He is a graduate of the University of Chicago with a degree in Public Policy and Cinema and Media Studies.

Within his role at the Local Democracy Agency Georgia, Freddy's contributions are multifaceted, emphasizing collaboration and community engagement. His efforts have been pivotal in developing resources and strategies that empower our organization and community groups, particularly in digital literacy, entrepreneurship,storytelling, and project design and management. This year,Freddy's collaboration led to the creation of a comprehensive qualitative bilingual research report that explores youth needs in Kutaisi, offering invaluable insights into tailoring our programs to better serve the community. His strategies in digital communication have also broadened our reach and engagement, which includes the launch of our monthly email newsletter.

## Meeting with ALDA Representatives

The Executive Director of LDA Georgia, Nino Khukhua, hosted representatives from the European Association for Local Democracy (ALDA). The meeting was attended by Marco Boaria, Head of ALDA's Programs and Development Department, and Andrea Rilievo, a member of ALDA's board. The Executive Director discussed the organization's activities, achievements, goals, and objectives.





Additionally, meetings were held with representatives from Kutaisi and Zugdidi municipalities, who are members of ALDA and frequently collaborate on joint projects. The discussions focused on new opportunities for cooperation and ALDA's activities in Eastern Partnership countries.

## "Europe Day" 2023



LDA Georgia participated in an information meeting dedicated to "Europe Day," held at Kutaisi University. LDA Georgia presented a stand featuring small souvenirs and informationa l brochures about the organization's projects. Representatives informed attendees about the organization's activities and future plans.

At the end of the event, LDA Georgia conducted a quiz game about the European Union and EU-Georgia relations. Winners received branded T-shirts with the LDA logo. The Information Center on NATO and EU organized the event. "Europe Day" is an annual event aimed at informing Georgians about the European integration process and increasing citizen involvement.

## General Assembly of ALDA 2023

In June 2023, the General Assembly of ALDA (European Association for Local Democracy) was held in Brussels. This significant event brought together colleagues, members, and partners of ALDA for exchanges on key EU priorities, including migration, inclusion, gender equality, environmental protection, sustainable development, and human rights.

The Assembly opened with a speech by the Vice-President of the European Commission, Ms. Dubravka Suica, followed by a productive exchange of opinions and questions from members and partners. Notable speeches were delivered by the President of the Congress of Local and Regional Authorities, Mr. Leendert Verbeek; the Head of Unit of the Europe for Citizens program at the Education, Audiovisual and Culture Executive Agency (EACEA), Mr. Gilles Pelayo; and the Executive Secretariat of the Central European Initiative, Mr. Ugo Poli.

The event included conferences, round tables, and workshops focusing on local democracy, participatory mechanisms, and citizen engagement. The activities carried out by the local democracy agencies of ALDA in 2022 were reviewed. The Assembly concluded with the official presentation of the Advisory Board members, a group of experts who will closely follow the organization's work.




**Participation of LDA Georgia's Executive Director in the General Assembly of ALDA**

Nino Khukhua, Executive Director of Local Democracy Agency Georgia, attended the General Assembly of ALDA in Brussels in June 2023. Nino Khukhua was a panel speaker at the event, addressing "Local Democracy in the Context of a Renewed Geopolitical Framework in the Eastern Partnership Countries." Following the panelists' insights, engaging discussions took place.







**Youth Exchange Project in Italy**

Five young people selected by LDA Georgia participated in the Erasmus+ project "S.H.O.W. RESPECT" in Italy. This project aimed to raise awareness about gender based violence through theatrical techniques. Participants from six countries (Italy, Spain, Portugal, Armenia, Jordan, and Georgia) took part in this exchange program.

## Visit of ALDA General Secretary, Antonella Valmorbida, to Georgia




LDA Georgia hosted Antonella Valmorbida, General Secretary of the European Association for Local Democracy (ALDA). During the meeting, Executive Director Nino Khukhua discussed the organization's activities,achievements, goals, and objectives.



Meetings were also held with the Deputy Mayor of Kutaisi Municipality, Tamar Dakhundaridze; the Head of the Foreign Relations Department, Shorena Khukhua; the Mayor of Batumi Municipality, Archil Chikovani; the Mayor of Poti Municipality, Beka Vcharadze; the Rector of Akaki Tsereteli State University, Shalva Kirtadze; and the Head of the Foreign Affairs and Development Office, David Gegechkori.The discussions focused on new opportunities for cooperation and ALDA's activities in Eastern Partnership countries.

## Conference on the Role of Municipalities in Implementing the European Neighborhood Policy (CORLEAP)




Nino Khukhua, together with the General Secretary of ALDA, Antonella Valmorbida, participated in the conference "The Role of Municipalities in Implementing the European Neighborhood Policy."

The first session discussed the role of municipalities in good governance and shared experiences from CORLEAP member countries. The second part of the meeting focused on the role of municipalities in territorial development, presenting the integrated regional

development program. The conference was held with the support of the National Association of Local Authorities of Georgia and Batumi Municipality City Hall.

## Open day at Akaki Tsereteli State and Kutaisi University



We were delighted to host an informational meeting for students and youth at Akaki Tsereteli State University. The meeting covered a range of topics:

- Participants learned about the work of the Local Democracy Agency Georgia and available youth exchange programs.
- Information was provided regarding internship opportunities at our organization.
- Attendees listened to stories from former exchange program participants.



Participants had the opportunity to complete the application form for the youth club based within our organization, allowing them to become club members. Findings from LDA Georgia's research report assessing the needs ofyouth in Kutaisi , as well as a program aimed at increasing youth involvement, were also presented during the meeting.

## European Solidarity Corps Coordinators' Meeting



Tamuna Akhobadze represented LDA Georgia at the European Solidarity Corps coordinators' meeting held on November 24-26 in Bakuriani. The purpose of the meeting was to share experiences, challenges, and future plans within the framework of the program, which provides young people with opportunities to

engage in international projects to develop skills, gain knowledge, new experiences, and improve professional competencies.
The meeting also covered topics such as finding trusted partners for international exchange programs and strengthening relationships with them. Representatives summarized and jointly discussed plans for the near future, aimed at attracting more young people to the European Solidarity Corps projects.



**Student Festival 2023**

LDA Georgia participated in the student festival held at Akaki Tsereteli State University. Youth programs implemented by the organization and student proposals were presented at the festival.

**Youth Festival 2023**

LDA Georgia was excited to be a part ofthe Kutaisi Youth Festival, where we connected with Kutaisi youth about our organization's youth initiatives.



## Impressions of the Participants of the Internship Program




Meet LDA Georgia's former interns: Maia Giorgadze, Shota Kvaratskhelia, and Lana Chanturidze! Join us in celebrating the achievements of our incredible former interns. Each has left a unique mark on our organization, embodying our mission to engage youth in active problem-solving and inclusive decision-making. Through our internship program, they not only enhanced their skills but also contributed significantly to our large-scale projects, international exchanges, seminars, and specialized trainings. They've raised their voices, worked with global minds in international exchange programs, and empowered their peers in our youth club.

## Impressions of Exchange Program Participants

Say hello to Magda Purtskhvanidze, Giorgi Gelovani, and Teona Arsenidze, past participants from LDA Georgia's exchange programs!



COUNTING PERIOD: FROM JANUARY 1, 2023 TO DECEMBER 31, 2023.

The financial report covers the period from January 1, 2023 to December 31, 2023
During this time, we received 103 439 GEL from various sources such as grants and membership fees. This amount, according to the sources of acceptance, looks as follows:

| Donors | Amount in GEL |
|---|---|
| EU/KAS | 45 594 |
| UNDP | 29 248 |
| GIZ | 9 431 |
| ALDA | 19 166 |
| **Sum** | **103 439** |

*ეს პუბლიკაცია მომზადდა გერმანიის ფედერალური მთავრობისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით („აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“ პროგრამის ფარგლებში). მის შინაარსზე პასუხისმგებელია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA) და არ ასახავს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ან ევროკავშირის მთავრობის შეხედულებებს.*

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: ქ.ქუთაისი, წერეთლის ქუჩა N111; 4600
ტელ: (0431) 24 24 02
ელ-ფოსტა: ldageorgiakutaisi@gmail.com
ოფიციალური ვებ გვერდი: https://ldageorgia.ge/
სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/LDAGeorgia